მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №76
2022 წლის 22 ნოემბერი
ქ. მარტვილი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი
სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხა თანდართული დანართის თანახმად.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ. რუსთაველის ქ.N247)

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა